ONE INTERESTING GROUP OF GRAVES OF THE CEMETERY OF THE DMANISI MEDIEVAL TOWN

შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის სამაროვნის სამარხების ერთი საინტერსო ჯგუფი[1]

JIMSHER CHKHVIMIANI
PhD in Archaeology,
Georgian National Museum, Ilia State University
3, Rustaveli Ave., Tbilisi, Georgia,
email:juansher@live.com, მობ: +995 555400850
ORCID: 0000-0002-0154-1234

Abstract. The article deals with the study of the cemetery of the Dmanisi town, one of the most significant urban centres of medieval Georgia. Namely, the results of archaeological, historical, art historical and epigraphic study of one group of very remarkable memorial monuments are presented.

The process of forming Dmanisi into a city, which began in the IX century, culminated in the formation in the XII-XIII centuries of one of the most important military-strategic, trade-economic and cultural urban centres of the South Caucasus through the active efforts of the authorities of the Georgian Kingdom. And as a result of our research, it became even more clear that the composition of the population of this town was multiethnic and multireligious.

Unfortunately, the history of Dmanisi is poorly reflected in written sources, and the idea of its past is reconstructed mainly on the basis of information obtained as a result of archaeological research. Thus, only this material provides us with factual documents about the spheres of activity, social and ethno-confessional differentiation, as well as the peculiarities of the way of life of the medieval population of the Dmanisi town.

In particular, the material obtained as a result of the study of the medieval cemetery, an organic part of the Dmanisi settlement, is the most valuable source reflecting the picture of the social, ethnic and religious composition of population of large medieval Georgian cities.

For example, according to our observation, there are cases of fusion of cultural elements at the Dmanisi medieval cemetery, when the structure and appearance of memorial monuments – tombstones or above-ground burial constructions of representatives of different ethnical and confessional groups are levelled to some extent. The touches that stand out in the design of a number of memorial monuments speak of a kind of cultural syncretism that has not yet been demonstrated in other medieval Georgian cities.

From the second half of the XII century, following migration processes that intensified in parallel with the development of Dmanisi as a trade and economic city, tombstones with Armenian and Arabic inscriptions appeared along with Georgian memorial monuments at the Christian cemetery of the pre-existing town, which is a direct reflection of these migration processes.

---

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო პროექტის – „შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის ურბანული სტრუქტურა და მოსახლეობის ეთნიკურ- კონფესიური შემადგენლობა“ (პროექტის ნომერი YS-21-3613) ფარგლებში

The article presents a group of burials of the Dmanisi medieval cemetery, uncovered in the Muslim part of this cemetery as a result of archaeological works carried out in 1970-1971 (V. Japaridze, M. Gochiashvili). During these excavations, a family cemetery was discovered inside the remains of mausoleum No. 3 of a circular plan, near mausoleum No. 4 of a quadrangular plan with a dome, located on the road leading to the settlement. There were more than a dozen burials and above-ground memorials – tombstones consisting of several segments, parts of which were inscribed with Arabic epitaphs.

Unfortunately, at that stage, for objective reasons, it was not possible to present a detailed publication devoted to this discovery of the Dmanisi expedition to the scientific community (only brief information was published in the collection of reports of expeditions). That is why we have tried to present a scientific study, that does justice to the importance of this discovery, complete with relevant factual details and analysis. In addition to archeological data, the work is based on the results of the historical, art historical and epigraphic research that we have conducted on these memorial monuments.

Keywords: Archeology; Islam; Dmanisi; medieval; mausoleum; grave; tombstone.

ჯიმშერ ჩხვიმიანი,
არქეოოლოგიის დოქტორი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 3, საქართველო,
emial: juansher@live.com, მობ: +995 555400850
ORCID: 0000-0002-0154-123

აბსტრაქტი. სტატიაში წარმოდგენილია შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ურბანული ცენტრის, ქალაქ დმანისის სამაროვანისადმი მიძღვნილი კვლევა. კერძოდ, აქ დადასტურებული მეტად საყურადღებო მემორიალური ძეგლების ერთი ჯგუფის არქეოლოგიური, ისტორიულ-სახელოვნებათმცოდნეო და ეპიგრაფიკული გამოკვლევის შედეგები.

IX საუკუნიდან დაწყებული დმანისის ქალაქად ფორმირების პროცესი XII-XIII საუკუნეებში, საქართველოს სამეფოს მესვეურთა აქტიური ძალისხმევით, ამიერკავკასიის მასშტაბით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სტარტეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურბანული ცენტრის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა. ამასთან, ჩვენმა კვლევებმა სავსებით ნათლად წარმოაჩინა, რომ ამ ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობა მულტიეთნიკურობით და მულტირელიგიურობითაც გამოირჩეოდა.

წერილობით წყაროებში საკმაოდ სუსტად ასახული დმანისის ისტორია, დღესდღეობით უმეტესწილად არქეოლოგიური კვლევის შედეგებით მოპოვებული ინფორმაციით ივსება. პრაქტიკულად, მხოლოდ ეს მასალა გვაწვდის ქალაქ დმანისის შუა საუკუნეების მოსახლეობის დასაქმების სფეროების, სოციალური და ეთნიკურ-კონფესიური დიფერენციაციის, მათი ყოფა-ცხოვრების თავისებურებების შესახებ ფაქტობრივ დოკუმენტებს.

კონკრეტულად, დმანისის ნაქალაქარის ორგანული ნაწილის, შუა საუკუნეების სამაროვნის კვლევით მოპოვებული მასალა, შუა საუკუნეების მძლავრი ქართული ქალაქების მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობის სურათის ამსახველ უძვირფასეს წყაროდ გვევლინება.

მაგალითად, ჩვენი დაკვირვებით, დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანზე ჩანს კულტურულ ელემენტთა შერწყმის ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ეთნიკურ და კონფესიურ ჯგუფთა წარმომადგენლების მემორიალური ძეგლების – საფლავის ქვებისა თუ საფლავზედა ნაგებობების მოწყობა და იერ-სახე რამდენადმე ნიველირებულია. მთელი რიგი მემორიალური ძეგლების გაფორმებაში გამოკვეთილი შტრიხები ერთგვარ კულტურულ სინკრეტიზმზე მეტყველებს, რაც დღემდე შესწავლილ შუა საუკუნეების სხვა ქართულ ქალაქებში ჯერჯერობით არსად დადასტურებულა.

XII საუკუნის მეორე ნახევრიდან, დმანისის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ქალაქის განვითარების პარალელურად გაძლიერებული მიგრაციული პროცესების კვალდაკვალ, მანამდე არსებული ქალაქის ქრისტიანულ სამაროვანზე, ქართულ მემორიალურ ძეგლებთან ერთად ჩნდება სომხურწარწერიანი და არაბულწარწერიანი საფლავის ქვები, რაც სწორედ რომ ამ მიგრაციული პროცესების პირდაპირი ანარეკლია.

სტატიაში წარმოდგენილია დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნის სამარხთა ჯგუფი, რომელიც ამ სამაროვნის მუსლიმურ უბანზე 1970-1971 წლებში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგადაა გამოვლენილი (ვ. ჯაფარიძე, მ. გოჩიაშვილი). ამ გათხრებისას ნაქალაქარისაკენ მიმავალი გზის სიახლოვეს მდებარე №4 სწორკუთხა გეგმარების გუმბათიან მავზოლეუმის მიმდებარე, წრიული გეგმარების №3 მავზოლეუმის ნაშთების შიგნით დადასტურდა საოჯახო სასაფლაოს მოწყობის ფაქტი: ერთ ათეულზე მეტი სამარხისა და მიწისზედა მემორიალების – რამდენიმე სეგმენტისგან შედგენილი საფლავის ქვების მოწყობა, რომელთა ნაწილსაც არაბულწარწერიანი ეპიტაფიები გააჩნდა.

სამწუხაროდ, დმანისის ექსპედიციის ამ აღმოჩენისადმი მიძღვნილი საფუძვლიანი პუბლიკაციის წარდგენა სამეცნიერო საზოგადოებისადმი, იმხანად, ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა (დაიბეჭდა მხოლოდ მოკლე ინფორმაცია ექსპედიციათა ანგარიშების კრებულში). ამიტომაც, ახლაღა შევეცადეთ წარმოგვედგინა ამ აღმოჩენის მნიშვნელობის შემაფასებელი, აუცილებელი ფაქტობრივი დეტალებითა და ანალიზის შედეგებით შევსებული სამეცნიერო გამოკვლევა. ნაშრომი გარდა არქეოლოგიური მონაცემებისა, ეყრდნობა ამ კონკრეტული მემორიალურ ძეგლებზე ჩვენ მიერ ჩატარებულ ისტორიულ-სახელოვნებათმცოდნეო და ეპიგრაფიკული კვლევის შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: არქეოლოგია; ისლამი; დმანისი; შუა საუკუნეები; მავზოლეუმი; სამარხი; საფლავის ქვა.

შესავალი. ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა 1936 წელს, არქეოლოგ ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით და აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო კონსულტაციებით დაიწყო. ფაქტობრივად, ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიას, როგორც ცალკე მიმართულებას. არქეოლოგიური გათხრები დმანისის შუა საუკუნეების ძეგლზე XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძის აქტიური ინიციატივის წყალობით განახლდა, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კი ჯუმბერ კოპალიანის ხელმძღვანელობით გაგრძელდა. დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა დღემდე სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. დმანისიდან მომდინარე დიდძალი არქეოლოგიური მასალა დმანისსა და ზოგადად შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებში მიმდინარე მატერიალური და სულიერი ყოფითი პროცესების შესახებ უძვირფასეს ცნობებს იძლევა.

დმანისის შუა საუკუნეების მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვან და ხშირ შემთხვევაში ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ძველი ქალაქის სამაროვანზე აღმოჩენილი მემორიალური, მათ შორის ეპიგრაფიკული ძეგლები. აქ, ქართულ და სომხურ წარწერიანი საფლავის ქვების თანადროულად, XIII-XIV საუკუნეებში, მრავალრიცხოვანი არაბულწარწერიანი ეპიგრაფიკული მემორიალური ძეგლები ჩნდება.

წარმოდგენილი სტატია სწორედ დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანზე აღმოჩენილ ამ უკანასკნელ, მეტად საინტერესო სამარხების ჯგუფის კვლევას, აღნიშნულ სამარხებთან დაკავშირებულ, მიწისზედა მემორიალურ ძეგლებზე დადასტურებულ არაბულწარწერიანი ეპიტაფიების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას და მათთან დაკავშირებული საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის პუბლიკაციას ეძღვნება; იმედი გვაქვს, რომ პუბლიკაციაში წარმოდგენილი მცდელობა ამ ძეგლების ეპიგრაფიკული, ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური ნიშნებით განსაზღვრისა, მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს როგორც ქალაქ დმანისის, ასევე ზოგადად საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქების საქალაქო ცხოვრების ელემენტების, სოციალურ-ეკონომიკური სურათის, ქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური შემადგენლობის, მიგრაციული პროცესებისა და კულტურული ასპექტების კვლევას.

დმანისის სამაროვნის არაბულწარწერიანი საფლავის ქვების შესახებ პირველი პუბლიკაცია, 1936-1937 წლების არქეოლოგიური კამპანიის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე, XX საუკუნის 50-იან წლებში, ვერა კრაჩოვსკაიას ეკუთვნის (Крачковская, 1951: 21-32), ხოლო შემდგომი საფუძვლიანი შესწავლა, უკვე ამავე საუკუნის 60-იანი წლებიდან, განახლებული დმანისის ექსპედიციის ახალი აღმოჩენების პარალელურად ხორციელდებოდა ცისია კახიანის მიერ. ამდენად, მასვე ეკუთვნის უაღრესად საინტერესო ნაშრომები დმანისის არაბულ ეპიგრაფიკაზე (კახიანი, 1960: 93-110; კახიანი, 1962ა: 203-216; კახიანი, 1962ბ, 497-504; კახიანი, 1965; კახიანი, 1974: 141-146).

ჩვენი საკვლევი თემის, დმანისის სამაროვნის მუსლიმურ უბანზე, სამარხების ერთ-ერთი ჯგუფის არქეოლოგიური შესწავლის შესახებ, პირველწყაროდ გვევლინება დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაცია (საველე ჩანაწერები, ანაზომები, ფოტონეგატივები); დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ღვაწლმოსილი ხელმძღვანელის, ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძისა და არქეოლოგ მერი გოჩიაშვილის საანგარიშო წერილები (ჯაფარიძე, 1972: 52-55). ასევე, მათ მიერვე გამოქვეყნებული მოკლე საანგარიშო სტატიები (ჯაფარიძე, 1984: 18-27; გოჩიაშვილი 1986: 49-53).

სამწუხაროდ, როგორც ვახსენეთ, დმანისის ექსპედიცის ამ ზემოხსენებული აღმოჩენისადმი მიძღვნილი საფუძვლიანი პუბლიკაციის წარდგენა სამეცნიერო საზოგადოებისადმი, იმ ეტაპზე, ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. ამდენად, მასალის დიდი ნაწილის პუბლიკაციას ვახდენთ პირველად. მათ შორის, წარმოვადგენთ არაბულწარწერიან ეპიტაფიების ნიმუშებს, რომელთა ამოკითხვასა და ინტერპრეტაციაზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა, **მარიამ ქორიძემ** იმუშავა.

კვლევა განხორციელდა და სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – ,,შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის ურბანული სტრუქტურა და მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური შემადგენლობა“ (პროექტის ნომერი YS-21-3613) ფარგლებში.

მეთოდები: კვლევისას გამოვიყენეთ ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები: ისტორიული, სახელოვნებათმცოდნეო, პალეოგრაფიული, არქეოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის, შედარების მეთოდები. საკვლევი მასალები, ეპიტაფიანი საფლავის ქვები აიზომა და გაკეთთა მათი გრაფიკული ჩანახატები, ასევე განხორციელდა მასალის ფოტოფიქსაცია.

შედეგები/მსჯელობა: დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი (უშუალოდ გალავნით გარშემორტყმული ქალაქი მოიცავს 13 ჰა-ს) მდინარეების, მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან წარმოქმნილ ხერთვისში, მაღალ ვულკანურ კონცხზეა განლაგებული (ილუსტ. 1). გალავნითა და შიდაციხით დაცულ ქალაქის ტერიტორიას სამხრეთიდან, მთის ფერდობზე მდებარე, ქალაქის ძველი სამაროვანი (დაახ. 25 ჰა) აკრავს. მდინარე მაშავერას ხეობაში, ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქის ერთ-ერთი გარეუბანი – კლდეში ნაკვეთი, ოთხ იარუსად განლაგებული ათეულობით კლდის სახლია შემორჩენილი. ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელ სოფელ პატარა დმანისის ადგილას შემორჩენილია საზოგადოებრივ აბანოთა სამი კომპლექსი. აქვე, ძველ საქარავნო გზასთან, უნდა არსებულიყო ფუნდუკ-ქარვასლები და სხვა სავაჭრო ადგილები.

დმანისის, როგორც ქალაქის ჩამოყალიბება, IX საუკუნიდან აქ ციხის აგებითა და ქალაქის ეტაპობრივი განაშენიანებით იწყება. საისტორიო წყაროებშიც დმანისი სწორედ ამ დროიდან იხსენიება (მატიანე ქართლისა: 257). დმანისის ქალაქობის პირველ ეტაპზე – IX-XI სს-ში, ის არაბების, ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს და თურქ-სელჯუკთა მფლობელობაში ექცევა (ქუთათელაძე, 2001: 102). შემდგომ, დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, გათავისუფლებული დმანისი ქართველ მეფეთა სამეფო ქალაქი ხდება, რომელსაც უკვე მეფის მიერ დანიშნული მოხელე – ამირა მართავს (ბერძენიშვილი, 1964: 745-752).



1. საქართველოს რუკა. დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი)

XII-XIV საუკუნეებში, ქალაქობის მეორე ეტაპზე, დმანისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, სამეფოს სამხრეთი საზღვრის თავდაცვითი სისტემის ნაწილი ხდება და საქართველოს ერთიან სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში ჩართული, თავისი განვითარების ზენიტს აღწევს. აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებს გარესამყაროსთან, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, დიდწილად ქალაქის მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე მდებარეობაც განაპირობებდა (ჯაფარიძე, 1998: 19-37). აღნიშნულ პერიოდში დაწინაურებული ჩანს ვაჭრობა, ქალაქური ხელოსნობის დარგები (კერამიკული და მინის წარმოება, მჭედლობა, საფეიქრო საქმე და სხვ.). დმანისში არსდება ზარაფხანა და იჭრება სპილენძის ფული, იზრდება ქალაქის მოსახლეობა. ქართველი მეფეების - უპირველესად დავით აღმაშენებლის რეფორმატული მოღვაწეობით და მისი მემკვიდრეების მიერ გაგრძელებული აქტიური პოლიტიკური ხაზით, დმანისი ყალიბდება აღმოსავლურ-ქართულ მრავალეთნიკურ ქალაქად.

მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სურათის ცვლილებები კარგადაა ასახული ქალაქის სამაროვანზე ისლამურ-არაბული და სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლების გაჩენით (კახიანი, 1965; მელიქსეთ-ბეგი, 1954: 158-161). ასევე, უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე ქართული ეკლესიების გვერდით სომხური მცირე ეკლესიების, მეჩეთებისა და მუსლიმური სასწავლებლის, მედრესეს აგებით (ჩხვიმიანი, 2011: 217-218).

დმანისის სამაროვანს საკმაოდ დიდი ფართობი, დაახ. 25 ჰა. უკავია და იგი ქალაქს უშუალოდ სამხრეთიდან ეკვრის. სამაროვნის ქვედა არქეოლოგიური ფენებში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებია დადასტურებული, რაც უშუალოდ ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ადრეულ, ქვედა ფენებში გამოვლენილ ამავე პერიოდის ნამოსახლართან უნდა იყოს დაკავშირებული (რეზესიძე, 2011: 36-52). ამავე სამაროვნის ტერიტორიაზე გვხვდება ადრე შუა საუკუნეების, ასევე, ქალაქობის წინარე პერიოდის სამარხებიც (Джапаридзе, 1980: 273); და ბოლოს, ქალაქობის პერიოდის – განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი, რამდენიმე იარუსიანი სამაროვანი. აქვეა დაფიქსირებული გვიანი შუა საუკუნეების დროინდელი სამარხების ჯგუფიც (ჯაფარიძე ვ., ართილაყვა ვ., 1971: 65-66).

დმანისის ქალაქობის პერიოდის, IX-XIV საუკუნეების, სამაროვანი მიწისზედა მემორიალური ძეგლების მიხედვით, ასევე სამარხეული მასალით, გარდაცვლილთა დაკრძალვის წესით, ორი განსხვავებული ნაწილისაგან შედგებოდა – ქრისტიანული და მუსლიმური უბნებისგან (ილუსტ. 2). სავარაუდოდ, სამაროვნის ქრისტიანულ ნაწილში იკრძალებოდნენ როგორც დმანისელი ქალკედონისტი ქართველები, ისე დმანისელი სომხები (შესაძლოა სომეხი და ქართველი მონოფიზიტებიც).



2. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი, გეგმა. ჯ. ჩხვიმიანი, გ. კოპალიანი (2016-2020). 1. წმ. თევდორეს ეკლესია, XI-XII სს.; 2. „მცირე ეკლესია“ №1, XII-XIII სს.; 3. „მცირე ეკლესია“ №2, XII-XIII სს.; 4. ქართულწარწერიანი მემორიალები, XII-XIII სს.; 5. „ქვემო ხაჩკარი“, 1288 წელი; 6. „ზემო ხაჩკარი“, XIII ს-ის II ნახ.; 7. „ქვის მავზოლეუმი“, XIII-XIV სს.; 8. №1 – „აგურის მავზოლეუმი“ და
№2 მავზოლეუმი, XIII ს.; 9. №3 და №4 მავზოლეუმები, XIII-XIV სს.; 10. „ზემო აბანო“, XII-XIII სს.;
11. „შუა აბანო“, XII-XIII სს.; 12. „ქვემო აბანო“, XII-XIII სს.

უაღრესად საინტერესო ჯგუფს ქმნის დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანზე არსებული მუსლიმური სასაფლაოს სამარხები მათზე შემორჩენილი მიწისზედა მემორიალური ძეგლებით. მუსლიმურ სამარხთათვის დამახასიათებელია სტელის ფორმის, ბრტყელი საფლავის ქვები, ხშირ შემთხვევაში სამკუთხა თავით და რელიეფური წარწერებით საფასადო, აღმოსავლეთის წახნაგზე. რიგ შემთხვევებში, სტელების როგორც ზურგი, ასევე გვერდითა წახნაგებიც გაფორმებულია წნული მცენარეული ან გეომეტრიული რელიეფური ორნამენტებით. გვხვდება სარკოფაგის ტიპის ჰორიზონტული განლაგების ქვები, ორფერდა ზედაპირით და თავთან ოთხ ან იშვიათად ხუთწახნაგოვანი პრიზმულ-კუბური შვერილით, რელიეფური არაბული წარწერებით საფლავის ქვის ჩრდილოეთ, სამხრეთ და იშვიათად დასავლეთ გვერდებზე. ასევე პრიზმული შვერილის თავზე. ასეთი ტიპის საფლავის ქვები ძირითადად სწორკუთხოვან, მართკუთხედის ფორმის ბრტყელ კვარცხლბეკებზე დგას და ზოგჯერ კვარცხლბეკის ზედაპირზე სპეციალურად ამოჭრილ ფოსოშიც ზის (ჯაფარიძე, 1984: 20).

დმანისის სამაროვანზე ათზე მეტი მავზოლეუმის ნაშთი დასტურდება. ყველა მავზოლეუმი გუმბათიანია, რომლებიც, თავის მხრივ, შენობის კედლებიდან ამოყვანილ ტრომპებს ეყრდნობა. დმანისის სამაროვნის მავზოლეუმები გეგმარების მიხეთვით სხვადასხვა ტიპისაა. ვხვდებით ოთხკუთხა, კვადრატის ფორმის მავზოლეუმებს; ასეთივე ფორმის, გარედან კუთხეებჩამოთლილ მავზოლეუმებს; ექვს და რვაწახნაგოვანი საფასადო გეგმარების, შიგნიდან წრიული ფორმის მავზოლეუმებს და წრიულ მავზოლეუმებს (მუსხელიშვილი, 1938: 431-432). საკუთრივ მავზოლეუმებში, არქეოლოგიური კვლევების შედეგად გამოვლენილია როგორც ქვის ფილებით დახურული ორმოსამარხები, ისე ქვის ფილებისგან შედგენილი, ბრტყელი ქვის ფილებითვე გადახურული ქვის სამარხები. ვხვდებით აგურითა და კირის დუღაბით ამოშენებულ, შეისრული თაღით გადახურულ სამარხებს. ყველა გამოვლენილ-შესწავლილი სამარხი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამხრობისაა. მათში ინდივიდუალურად დაკრძალული მიცვალებულები გაშოტილ პოზაში არიან, თავით დასავლეთისკენ, სახით სამხრეთისკენ (ეს უკანასკნელი დმანისისთვის ქალაქ მექის, შესაბამისად, ყიბლის სამხრეთით მდებარეობას უკავშირდება. ამდენად, დმანისელი მუსლიმები სახით სწორედ რომ მექისკენ მიმართული იკრძალებოდნენ). მიცვალებულებს ხელები სხეულის გასწვრივ აქვთ დაწყობილი, რიგ შემთხვევებში მარცხენა ხელი მოხრილია და იდაყქვეშ მდებარე მტევანი მუცელზე დევს ან მიტანილია ნიკაპთან (ჯაფარიძე, 1972: 52-55).

ჩვენთვის საინტერესო და განსახილველი, ისლამური სამარხების ერთ-ერთი ჯგუფი დმანისის სამაროვანზე, ნაქალაქარისაკენ მიმავალი გზის სიახლოვეს მდებარეობს. სამაროვნის აღნიშნულ მონაკვეთზე არქეოლოგიური გათხრები 1970-1971 წლებში წარმოებდა. არქეოლოგების (ხელმძღვანელი ვ.ვ. ჯაფარიძე, ჯგუფის ხელმძღვანელი მ. გოჩიაშვილი) თავდაპირველი ყურადღება სწორკუთხა გეგმარების, მავზოლეუმის ნაშთებმა მიიქცია, რომელსაც, მიწის ზედაპირზე, მხოლოდ გუმბათი უჩანდა (მავზოლეუმი №3). გათხრების შედეგად, №3, სწორკუთხა მავზოლეუმის სამხრეთ-დასავლეთიდან მიდგმული, კიდევ ერთი, წრიული გეგმარების, №4 მავზოლეუმის ნაშთი გამოვლინდა (ჯაფარიძე, 1971: 52-54).

№3 სწორკუთხოვანი გეგმარების, ტრომპებზე დაყრდნობილი გუმბათოვანი მავზოლეუმის შიდა ზომები 3.3x3.1 მეტრს შეადგენს. მავზოლეუმის კედლები ნაგებია ნატეხი ქვით კირის დუღაბზე. ნაგებობაში შესასვლელი ღიობი აღმოსავლეთის მხრიდანაა მოწყობილი, რომელიც ერთგვარი კორიდორისებრი დრომოსივით ეშვება მავზოლეუმის ინტერიერში. მავზოლეუმის იატაკი მოლესილი ყოფილა კირის ხსნარით.



3. დმანისის სამაროვანი. №3 და №4 მავზოლეუმი. გეგმა, ჭრილი. 1971 წელი. გათხრების პირველი ფაზა

№4 მრგვალი მავზოლეუმის კედლების საძირკველი დიდი ზომის ლოდებითა და კირის დუღაბითაა ნაგები. წრიული შენობის 1.1 მეტრი სიგანის კედლები ამოყვანილია ქართული აგურით (ზომ. 23x4.4x23 სმ) კირის ხსნარზე. წრიული მავზოლეუმის შიდა დიამეტრი 6.1 მეტრს შეადგენს (ილუსტ. 3). სავარაუდოა, რომ მრგვალი მავზოლეუმი შიგნიდან მოპირკეთებული ყოფილიყო სწორკუთხოვანი ფირუზისფერი შორენკეცებით, რომელთა განსაზღვრული რაოდენობა აღმოჩნდა როგორც მავზოლეუმის შიგნით, ისე მის გარეთაც. მრგვალი მავზოლეუმის კედლები დაახ. 1 მეტრ სიმაღლეზე იყო შემორჩენილი, ანუ იგი თითქმის ძირამდე იყო დანგრეული, ისე რომ ნანგრევი მასა ადგილზე არ ჩანდა. სავარაუდოდ ამის მიზეზი მავზოლეუმის მშენებლობაში, კედლებში არსებული ქართული აგურის მეორადად გამოყენების სურვილი უნდა ყოფილიყო და, შესაბამისად, ეს სამშენებლო მასალა სხვაგან, ახალი მშენებლობისთვის გადაიტანეს.

როგორც ვიცით, XIV საუკუნის 80-იან წლებში, დმანისი როგორც ქალაქი და ასევე მისი მოსახლეობა, თემურ ლენგის დამანგრეველი ლაშქრობების შედეგად ფიზიკურად განადგურდა. XVI-XVII საუკუნეებში ბარათაშვილების და მათი განაყოფი შტოების, ორბელიშვილების, ყაფლანიშვილების და სხვ. მიერ დმანისის ციხისა და ძველი ქლაქის ტერიტორიაზე მცირე სამოსახლოს აღდგენა, ხალხის ხელახალი დასახლება მოხდა. დმანისი ამ პერიოდში სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა და იგი ქალაქად ვეღარასდროს აღდგა. სწორედ ამ პერიოდში შეინიშნება საფლავის ქვების, როგორც ქრისტიანულის ისე მუსლიმური, არაბულწარწერიანი მემორიალების გამოყენება სამშენებლოდ, დმანისის როგორც საერო დანიშნულების შენობების კედლებში, ისე განსაკუთრებით, ეკლესიების ფასადებზე. თემურ ლენგის შემდგომ პერიოდში დმანისის მუსლიმი მოსახლოება ფიზიკურად უკვე განადგურებული ჩანს და, ამდენად, დმანისში უკვე აღარ იყვნენ მათი უშუალო შთამომავლები, რომელებიც წინაპრების მავზოლეუმებს ან საფალავის ქვებს ხელყოფისაგან და მათი სამშენებლო მასალად გამოყენებისაგან დაიცავდნენ (ჩხვიმიანი 2020: 253-254).

ზემომოყვანილი, №3 და №4 მავზოლეუმები ერთმანეთზე მიბჯენითაა აგებული. სამშენებლო ფენებისა და სტრატიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, ჯერ უნდა აეგოთ სწორკუთხა №3 მავზოლეუმი, ხოლო შემდგომ მასზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან №3 წრიული მავზოლეუმი უნდა მიეშენებინათ. ისე რომ, წრიული მავზოლეუმის კედლები რამდენადმე ქვის სწორკუთხოვან მავზოლეუმის გუმბათზე არის ზემოდან მოქცეული. ორივე მავზოლეუმს შემოვლებული ჰქონდა 12x9.3 მეტრი ზომის გაუთლელი ქვითა და კირის დუღაბით ნაგები, 1 მეტრი სისქის კედლებიანი გალავანი (ჯაფარიძე, 1984: 20).

№3 მავზოლეუმი №4 აგურით ნაგები წრიული მავზოლეუმისაგან განსხვავებით, მიწის ზედაპირიდან რამდენადმე უფრო ქვედა დონეზე, სიღრმეში მდებარეობს (განსხვავება მავზოლეუმების დონეებს შორის 1.9 მეტრს უდრის). მავზოლეუმი ერთგვარი მიწური, კრიპტის ტიპის ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რასაც ნაგებობის კედლებზე სარკმელების არარსებობაც ემეტება (ილუსტ. 3-4). უცნაურია ისიც, რომ №3 მავზოლეუმში იატაკის დონიდან სიღრმეში ჩაშვებული სამარხი არ გამოვლენილა (არც მიცვალებულის ნეშტი, არც ცარიელი სამარხი). მსგავსი სამარხების არსებობა ხომ სხვა შესწავლილი მავზოლეუმების შემთხვევების გათვალისწინებით, თითქოსდა კანონზომიერი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ჩამოთვლილი „უცნაურობების“ შესახებ მსჯელობამ, ახალი ვარაუდის გამოთქმის საშუალება მოგვცეს. თუ კარგად დავაკვირდებით №3 მავზოლეუმის გეგმარებას, შევნიშნავთ, რომ შენობის შიგნით, ნაგებობის სამხრეთ კედელში 2.2 მეტრი სიგრძის და 0.7 მეტრი სიღრმის ნიშია მოწყობილი. ზოგადად, თაღოვანი ნახევარწრიული ნიშები მეჩეთებზე ყიბლის, მექის მიმართულების მანიშნებელია და მიჰრაბს, სალოცავ ნიშს წარმოადგენს. მსგავსი მოყვანილობის პატარა ნიშები იშვიათად, მაგრამ გვხვდება დმანისის მავზოლეუმების ინტერიერში, სამხრეთ კედელში. სავარაუდოდ, ისინიც ამ შემთხვევაშიც სალოცავი ნიშებია; თუმცა, №3 მავზოლეუმში მოწყობილი ასეთი დიდი ზომისა და სიღრმის ნიში, ჯერჯერობით სხვა მავზოლეუმში არსად არ დადასტურებულა. თითქოსდა შესაძლოა გვეფიქრა, რომ №3 მავზოლეუმში მოწყობილი ეს ნიში აქ განსვენებული პიროვნების ნიში-სარეცელი შესაძლოა ყოფილიყო. სარეცელზე მიცვალებულის დასასვენებლად ამ ნიშის ზომებიც სრულიადშეესაბამება. ხოლო, მასზე დასვენებული მიცვალებულის დამხრობაც შესაბამისი იქნებოდა – დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზი. ამდენად მსგავსი დასაკრძალი სივრცის მოწყობისას მავზოლეუმის ინტერიერში მიცვალებულს კი არ დაფლავდნენ მიწაში, როგორც ეს სხვა შემთხვევებში გვაქვს, არამედ სპეციალურად მოწყობილ სარეცელზე დაასვენებდნენ, როგორც ეს ქრისტიანულ კრიპტებშია მიღებული. ჩვენი ვარაუდი ზემომოყვანილი სხვადასხვა გარემოებების

გათვალისწინებით, არცთუ ისე უსაფუძვლოდ გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, მავზოლეუმში მსგავსი ტიპის დაკრძალვის წესის შესაძლო არსებობაც კი მეტად საინტერესოდ გამოიყურება დმანისის მუსლიმი მოსახლეობის მემორიალური კულტურის, დაკრძალვის ტრადიციების შესწავლის თვალსაზრისით (ჩხვიმიანი 2020: 265-266).



4. დმანისის სამაროვანი. №3 და №4 მავზოლეუმი. გეგმა, ჭრილი. 1971 წელი. გათხრების ბოლო ფაზა

უაღრესად საინტერესო მონაცემებს იძლევა №4 წრიული მავზოლეუმი. ნაგებობის ინტერიერში, იატაკის დონეზე, აღმოჩნდა ორ რიგად ჩამწკრივებული, ძირითადად მასიური სარკოფაგისებრი ფორმის საფლავის ქვები, დასავლეთის თავთან ოთხკუთხა ვერტიკალური კუბისებრი ორფერდა ზედაპირიანი შვერილით. სხვადასხვა ზომის საფლავის ქვების რაოდენობა 13-ს შეადგენდა (ილუსტ. 3). ქვების მაქსიმალური ზომები 2.65x0.32 მეტრია, ხოლო მინიმალური 0.42x0.10 მეტრი. საფლავის ქვები სწორკუთხა, მართკუთხედის ფორმის კვარცხლბეკებზე იდგა (კვარცხლბეკის მაქსიმალური ზომა: 3.4x0.6 მეტრი). კვარცხლბეკებს ზედაპირზე, მათზე აღმართული, საფლავის ქვების შესაბამისი მოხაზულობის არც თუ ისე ღრმა ფოსოები იყო ამოჭრილი, რომელშიც საფლავის ქვები სიმყარისთვის იყო ჩასმული. 13 საფლავის ქვიდან ხუთზე (წარწერა შესაძლაო ჰქონოდა №6 სამარხის საფლავის ქვასაც, თუმცა მისი კვალი სრულიად გამქრალია) რელიეფურ-არაბულწარწერიანი ეპიტაფიები აღმოჩნდა (ილუსტ. 5).

გამოვლენილი საფლავის ქვების ქვეშ, 1.5-1.7 მეტრ სიღრმეზე შესაბამისი სამარხეული სტრუქტურები გამოვლინდა. სამარხები ძირითადად ამოშენებული იყო ბრტყელი აგურით (ქართული აგურით). ერთ-ერთს, №13 სამარხს, გააჩნდა შეისრული თაღოვანი გადახურვა, დანარჩენები კი დახურული იყო დიდი და ბრტყელი ქვის ფილებით (ილუსტ. 4, 6).

5. დმანისის სამაროვანი. №4 მავზოლეუმი. ხედი სამხრეთიდან. 1971 წელი. გათხრების პირველი ფაზა

ინდივიდუალურად დაკრძალვით მოწყობილი 13 სამარხიდან რამდენიმე ბავშვისა და მოზარდის (მაგ. სამარხები №№ 4, 9, 10) აღმოჩნდა. ცხედრები დასვენებული იყვნენ გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთისკენ, სახით სამხრეთისკენ. მიცვალებულებს ხელები ეწყოთ სხეულის გასწვრივ, რამდენიმე შემთხვევაში კი მარცხენა ხელი მოხრილი იყო და იდაყვქვეშა ხელის

მტევნები ეწყო ან მუცელთან ან ნიკაპთან; ერთ შემთხვევაში მიცვალებულს ხელები დალაგებული ჰქონდა მკერდზე (ილუსტ. 6).

გარდა 13 სამარხისა, №4 მავზოლეუმის შიგნით კიდევ სამი სამარხი აღმოჩნდა. მათ საფლავის ქვები არ გააჩნდათ. ასევე, სამარხები საფლავის ქვების გარეშე აღმოჩნდა წრიული მავზოლეუმის გარეთ, №4 წრიული მავზოლეუმისა და №3 ტრომპულგუმბათიანი მავზოლეუმის მზღუდავ გალავნის კედლებს შორის. აღნიშნული, ზედა დონიდან 1.3 მეტრ სიღრმეში გამართული სამარხები, შედარებით მოგვიანო ხანაში, სავარაუდოდ ძირითადი, №4 მავზოლეუმის სამარხების გამართვის შემდეგ უნდა მოეწყოთ (ჯაფარიძე, 1984: 24).



6. დმანისის სამაროვანი. №4 მავზოლეუმში გამართული სამარხები. ხედი აღმოსავლეთიდან. 1971 წელი. გათხრების ბოლო ფაზა

გათხრების შედეგად სამარხეული ინვენტარი დადასტურდა მხოლოდ რამდენიმე მათგანში: №5 სამარხში, სადაც რგოლისებრი წყვილი ვერცხლის საყურე აღმოჩნდა გველისთავიანი (დრაკონისთავიანი) დაბოლოებებით (ილუსტ. 7). ბრინჯაოს მავთულის პატარა ბეჭედი აღმოჩნდა №6 სამარხში. მავზოლეუმის სამხრეთ ნაწილში სამარხების დონეზე ასევე აღმოჩნდა ცალი საყურე, ოქროსი, ღეროზე მარგალიტით (ილუსტ. 7) და № 7 სამარხში ერთი ცალი სარდიონის ბიკონუსური მძივი (ჯაფარიძე, 1984: 25-26).

7. №5 სამარხში აღმოჩენილი რგოლისებრი წყვილი ვერცხლის საყურე; ცალი საყურე, ოქროსი, ღეროზე მარგალიტით (სამუზ. № 75-1972:1), აღმოჩნდა №4 მავზოლეუმის გათხრებისას

№5 სამარხში აღმოჩენილ გველისთავებიან სამკაულს, პარალელური მასალა ეძებნება დმანისის სამაროვნის მასალებშივე – 1982 წელს სამაროვნის სამხრეთ ნაწილში, წმინდა ბარბარეს ეკლესიის საიახლოვეს, №9 თხრილის №2 ორმოსამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საყურეების სახით. ჩვენი აზრით, აქ აღმოჩენილი „პირდაღებული გველისთავიანი“ საყურეები, დრაკონის სიმბოლურ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. საყურეები მრგვალგანივკვეთიანი, ღერომორკალული, გახსნილი 2 სმ დიამეტრის რგოლებია. ღეროს დაწვრილებული დაბოლოება დრაკონის ფართოდ გაღებულ პირთანაა მიტანილი (1982 წელს, დმანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ ინფორმაცია: დმანისისის ექსპედიციის ხელნაწერი საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციიდან).

ცნობილია რომ, განვითარებულ შუა საუკუნეებში გველეშაპის (დრაკონის) გამოსახულება გვხდება, როგორც შუა აზიურ, ისე ზოგადად მაშინდელი მსოფლიოს სელჯუკური მატერიალური კულტურის უძრავ და მოძრავ ძეგლებზე. ე.წ. „სელჯუკური ტიპის“ დრაკონი: მომცრო წვეტიანი ყურებით, ფართოდ გახსნილი პირითა და მოკაუჭებული ცხვირით დიდ სელჯუკთა დამახასიათებელ სიმბოლოდაც კი იქცა. დრაკონის ეს გამოსახულება შემდგომში მთელ ისლამურ სამყაროში გავრცელდა. არსებული რწმენის მიხედვით, გველეშაპის გამოსახულება ერთგვარ მაგიური თილისმის ძალას ქმნიდა. იგი, ერთის მხრივ ადამიანს „ავი თვალისგან“ იცავდა, მეორეს მხრივ კი მას გარკვეულ მაგიურ ძალაუფლებას ანიჭებდა (Kuehn, 2011: 4, 35, 226).

ამდენად, დმანისელი მუსლიმების შემთხვევაში მსგავსი, დრაკონის გამოსახულებიანი თილისმების გამოყენება ყოფაში, სავსებით დასაშვებად გვეჩვენება. ამ შემთხვევაში საინტერესოა ის, რომ დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნზე, ქრისტიანულ სამარხში, ასევე დრაკონისთავიანი საყურეების აღმოჩენა დმანისის ქრისტიანულ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და მატერიალურ კულტურაში ისლამური კულტურის გავლენებზე უნდა მიანიშნებდეს. შესაძლოა რომ დმანისელ გაქრისტიანებულ მუსლიმებს, რისი მინიშნებებიც გვაქვს (ჩხვიმიანი, 2020: 233-241), ყოფით

ცხოვრებაში და მემორიალურ, დაკრძალვის ტრადიციებში, შემორჩენილი ჰქონოდათ ისლამურ რელიგიასთან დაკავშირებული გარკვეული წეს-ჩვეულებანი, რომლებიც, მეორეს მხრივ, შესაძლოა ლოკალური, ზოგად-დმანისური მატერიალური კულტურის ელემენტებსაც წარმოადგენდნენ.

წარმოდგენილი სტატიის მიზნებიდან გამომდინარე დეტალურად განვიხილავთ №4 მავზოლეუმში აღმოჩენილ წარწერიან საფლავის ქვებს.

სამარხი № 2, საფლავის ქვა.

ზომები: საერთო სიმაღლე პრიზმულ შვერილთან 44.5 სმ; ძირითადი ნაწილი 34 სმ; სიგრძე 176 სმ; სიგანე 28.5 სმ.

მომწვანო, ფოროვანი ტუფისაგან დამზადებული. სარკოფაგის ფორმის. ჰორიზონტული, ორფერდა სახურავისებრი ზედაპირით, თავთან (დასავლეთ დაბოლოებასთან) ოთწახნაგოვანი კუბისებრი, ასევე ორფედა ზედაპირიანი შვერილით. საფლავის ქვის სამხრეთ და ჩრდილოეთ, როგორც ორფერდა ზედაპირის, ისე გვერდების წახნაგების მთელი ზედაპირი რელიეფური არაბული წარწერებითა დაფარული. წარწერები იკითხება საფლავის ქვის კუბური შვერილის ორფერდა ზედაპირზეც. აღნიშნული საფლავის ქვა ამჟამად ძლიერ დაზიანებულია და რამდენიმე ფრაგმენტადაა დაშლილი. შესაბამისად, სამარხი №2 საფლავის ქვის წარწერების ამოკითხვა მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა (ილუსტ. 8-10).

თარიღი: სავარაუდოდ XIV საუკუნე. ***წარწერა:*** ხელი ნასხი.

ﺑﺮ.. ***ჩრდილოეთი გვერდი (ქვედა რეგისტრი):*** خفيز نور هللا قبره \ كفى بالموت و لعظا

„ ... იბნ ხაფიზისა, ნათელჰყოს ალაჰმა საფლავი მისი / საკმარისია სიკვდილი შთამაგონებლად“.

სამხრეთი გვერდი:

... السالم و الدين ... و اخر

„ ... მშვიდობა და სარწმუნოება ... “



8. საფლავის ქვა № 2, სამხრეთი-აღმოსავლეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. გრაფიკული რეკონსტრუქცია-ჩანახატი. 2023 წელი

როგორც ვხედავთ, გარდაცვლილის სახელის ამოკითხვა ვერ მოხერხდა, მაგრამ ვიგებთ რომ იგი იყო ხაფიზის ძე. ზედა რეგისტრის წარწერა არ იკითხება, თუმცა სავარაუდოა, რომ იყოს ამონარიდი ყურანიდან. ზედა და ქვედა რეგისტრის წარწერების ხელი რომელიც არის ნასხი, ამავე დროს ასოების მოყვანილობის მიხედვით, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. შესაძლოა ზედა და ქვედა რეგისტრის წარწერების ავტორი სხვადასხვა, ქვაზე ეპიტაფიების მკვეთავ-შემსრულებელი ყოფილიყო.

9. საფლავის ქვა № 2, სამხრეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 1971 წელი

10. საფლავის ქვა № 2, სამხრეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 2023 წელი

სამარხი № 3, საფლავის ქვა.

ზომები: საერთო სიმაღლე პრიზმულ შვერილთან 64 სმ; ძირითადი ნაწილი 48 სმ; სიგრძე 200 სმ; სიგანე 32.5 სმ.

მომწვანო ფოროვანი ტუფისაგან გამოთლილი. სარკოფაგისებრი ფორმის, ჰორიზონტული, ორფერდა სახურავისებრი ზედაპირით, თავთან ოთწახნაგოვანი კუბური შვერილით, ასევე ორფერდა ზედაპირით. სამხრეთ და ჩრდილოეთ გვერდებზე რელიეფური არაბული წარწერებით (ილუსტ. 11-12).

თარიღი: 7...7 = 13... (შესაძლოა იყოს 1365 წელი ან 1375 წელი). ***წარწერა:*** ხელი ნასხი.

ჩრდილოეთი გვერდი: წარწერის ასოების მხოლოდ ფრაგმენტები ჩანს და ტექსტის წაკითხვა ვერ ხერხდება.

სამხრეთი გვერდი: ოთხსტრიქონიანი წარწერის შემორჩენილი ნაწილი –

ارتحل الى دار\...\سبع ...\ سبعماية

„ ... გარდავიდა საიქიოსა ... შვიდსა ... შვიდასსა (7..7 წელი, თარიღში ათეული არ იკითხება. შესაძლოა იყოს 767 ან 777)“.

كل من عليه فان و يبقى وجه ربك ذو الجالل و االكرام

„ყველაფერი რაც მასზეა დაიღუპება, მხოლოდ ღმერთის სახე, დიდებულებით და პატივისცემით სავსე დარჩება (ყურანი, სურა ალ-რაჰმანი (სურა 55) აია 27)“.

სხვა საფლავის ქვებისგან განსხვავებით აღნიშნულ საფლავის ქვაზე არსებულ ეპიტაფიაში აია (27) სრულადაა მოცემული.

დმანისის არაბული ეპიგრაფიკის მკვლევარს, ცისია კახიანს, ერთ-სტატიაში ნახსენები აქვს №4 მავზოლეუმში აღმოჩენილი საფლავის ქვა, რომელზეც ჰიჯრით 766 წელი (1364-1365 წწ) იყო მოცემული (კახიანი, 1974: 146). თუმცა, დაზუსტებით არ ვიცით გულისხმობდა თუ არა იგი №3 სამარხის ქვის თარიღს, რომელიც დღეისათვის ძალიან დაზიანებულია და დაზუსტებით ამოკითხვა ვერ ხერხდება.



11. საფლავის ქვა № 3, სამხრეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 1971 წელი

12. საფლავის ქვა № 3, სამხრეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 2023 წელი

სამარხი № 4, საფლავის ქვა.

ზომები: საერთო სიმაღლე პრიზმულ შვერილთან 38 სმ; ძირითადი ნაწილი 31 სმ; სიგრძე 86 სმ; სიგანე 19 სმ.

თარიღი: ჰიჯრით 760= 1358\59 წელი. ***წარწერა:*** ხელი ნასხი.

მომწვანო ტუფისაგან დამზადებული. სარკოფაგის ფორმის, ორფერდა ზედაპირით და თავთან ოთწახნაგოვანი პრიზმისებრი, კუბური შვერილით, მასზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ წახნაგებზე (12x20 სმ) რელიეფური არაბული წარწერებით. გატეხილია ორ ნაწილად (ილუსტ. 13-14).

ჩრდილოეთი გვერდი: **هذا لقبر \ المرحوم\ ...فل بن \ جعفر \نور هللا قبره**

„ესე არს საფლავი განსვენებულისა ... ბენ ჯაფარის ნათელჰყოს ალაჰმა საფლავი მისი“.

სამხრეთი გვერდი: **ارتحل دار االخرة \ في]شهر[شعبان]سنة[ستين و سبعما]ية[**

„გარდავიდა საიქიოსა [თვესა] შაყბანსა (მე7 თვე) [წელსა] 760).“

საფლავის ქვის ეპიტაფიაში გარდაცვლილის სახელი გადაშლილია და არ იკითხება. თუმცა ვიცით რომ იგი იყო ჯაფარის ძე.

13. საფლავის ქვა № 4, ჩრდილოეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 2023 წელი

14. საფლავის ქვა № 4, სამხრეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 2023 წელი

სამარხი № 9, საფლავის ქვა.

ზომები: საერთო სიმაღლე პრიზმულ შვერილთან 56 სმ; ძირითადი ნაწილი 37 სმ; სიგრძე 117 სმ; სიგანე 27 სმ.

თარიღი: ჰიჯრით 761=1360/61 წელი. ***წარწერა:*** ხელი ნასხი.

საფლავის ქვა. მომწვანო ტუფისაგან გამოთლილი. სარკოფაგისებრი, ჰორიზონტული, ორფერდა სახურავისებრი ზედაპირით, თავთან ოთწახნაგოვანი პრიზმისებრი შვერილით, ასევე ორფედა ზედაპირით, თავზე ჯამისებრი შვერილით. სამხრეთ და ჩრდილოეთ წახნაგებზე რელიეფური არაბული წარწერებით (ილუსტ. 15-17).

ჩრდილოეთი გვერდი: ხუთსტრიქონინი წარწერის ფრაგმენტი

هذا [القبر] \ مرحوم\ ...\ نور هللا قبره

„ესე არს [საფლავი] განსვენებულისა ... ნათელჰყოს ალაჰმა საფლავი მისი“.

تعال هللا و عليه السالم كفى بالموت و اعظا

„ალაჰის წყალობა და კურთხევა მასზე, საკმარისია სიკვდილი შთამაგონებლად“.

სამხრეთი გვერდი: ხუთსტრიქონიანი წარწერის ნაწილი

...\ ... \ الشهر \ ذو الحجة \ احدى و ستين \ و سبعمية

„... თვესა ზულ ჰუჯასა (ბოლო თვე) ერთსა და სამოცსა და შვიდასსა (761)“.

الدنيا مزرعة االخرة يا هللا

„ო, ღმერთო ეს სამყარო გარჯაა საიქიო ცხოვრებისთვის.“



15. საფლავის ქვა № 9, სამხრეთი-აღმოსავლეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. გრაფიკული რეკონსტრუქცია-ჩანახატი. 2023 წელი

საფლავის ქვა № 9, სამხრეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 1971 წელი



16. საფლავის ქვა № 9, ჩრდილოეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 1971 წელი

სამარხი № 10, საფლავის ქვა.

ზომები: საერთო სიმაღლე პრიზმულ შვერილთან 45 სმ; ძირითადი ნაწილი 37 სმ; სიგრძე 120 სმ; სიგანე 27 სმ.

თარიღი: სავარაუდოდ XIV საუკუნე. ***წარწერა:*** ხელი ნასხი.

საფლავის ქვა. მომწვანო ტუფისაგან გამოთლილი. სარკოფაგისებრი, ჰორიზონტული, ორფერდა სახურავისებრი ზედაპირით, თავთან ოთწახნაგოვანი პრიზმულ-კუბური შვერილით, ასევე ორფედა ზედაპირით და თავზე ჯამისებრი შვერილით (დაზიანებული). სამხრეთ და ჩრდილოეთ გვერდებზე ორ-ორ ჩარჩოში ჩაწერილი რელიეფური არაბული ეპიტაფიებით. წარწერის მხოლოდ მცირე ფრაგმენტის ამოკითხვა გახდა შესაძლებელი (ილუსტ. 18-19).

ჩრდილოეთი გვერდი:

دار اخر ... دارالدنيا

„... საიქიო ცხოვრება .... სააქაო ცხოვრება ...“

17. საფლავის ქვა № 10, სამხრეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 1971 წ.

18. საფლავის ქვა № 10, ჩრდილოეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 2023 წელი

სამარხი № 6, საფლავის ქვა.

ზომები: საერთო სიმაღლე პრიზმულ შვერილთან 44 სმ; ძირითადი ნაწილი 44 სმ; სიგრძე 105 სმ; სიგანე 26.5 სმ.

საფლავის ქვა. მომწვანო ფოროვანი ტუფისაგან გამოთლილი. სარკოფაგისებრი, ჰორიზონტული, ორფერდა სახურავისებრი ზედაპირით, თავთან ოთწახნაგოვანი პრიზმულ-კუბური შვერილით, ასევე ორფედა ზედაპირით, თავზე მოქცეული შუაში გამყოფი რელიეფური ლილვით (ილუსტ. 20-21).



19. საფლავის ქვა № 6, ჩრდილოეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. გრაფიკული რეკონსტრუქცია-ჩანახატი. 2023 წელი

ჩრდილოეთი გვერდის ორივე რეგისტრი გაფორმებულია რელიეფურად ამოკვეთილი ფიგურებით: ერთიან კომპოზიციაში იკითხება გეომეტრიული ფიგურები, ბორჯღალი (შესაძლოა ურმის ბორბლების იმიტაცია), ფრინველის გამოსახულება (ფარშევანგი), ქვედა რეესტრში – სახედარზე (ცხენზე) შემომჯდარი, სამკუთხა ფორმის, წოწოლა ქუდიანი ადამიანი რომელიც თითქოსდა სავაჭრო ქარავანს მიუძღვის წინ, მის უკან კი, სახედარზე, საბელით ორკუზიანი აქლემია გამობმული. ქარავნის მოძრაობის სცენის წინ სავარაუდოდ მცენარეული მოტივი იკითხება. საფლავის ქვის დასავლეთ ნაწილში, თავთან, კუბური შვერილის ჩრდილოეთ წახნაგზე სავარაუდოდ წარწერა უნდა ყოფილიყო, რომელიც ამჟამად მთლიანად გადაშლილი და არ იკითხება.

20. საფლავის ქვა № 6, სამხრეთი გვერდი. მავზოლეუმი № 4, დმანისის სამაროვანი. ფოტო 2023 წელი

უაღრესად საინტერესოდ გამოიყურება, ზემომოყვანილ საფლავის ქვაზე, დღემდე ერთადერთი შემთხვევით გამოვლენილი ეს მრავალფეროვანი რელიეფური სიჟეტი. რომელიც, აქ დაკრძალული პიროვნების მაღალ სოციალურ სტატუსზე, მის მიერ შორეულ სავაჭრო მოგზაურობებში მონაწილეობაზე უნდა მიუთითებდეს. თვალსაჩინოა საფლავის ქვაზე სახედარზე/ცხენზე ამხედრებული „ქარავანის წინამძღოლის“ ჩახმულობა. მას გრძელი, ტანზე მომდგარი კაბა აცვია, ხოლო თავზე სამკუთხედის ფორმის წვეტიანი, წოწოლა ქუდი ახურავს. მსგავსი ჩაცმულობა ქართული ტაძრების რელიეფებზე გამოსახული ქტიტორების შემთხვევაში, მათ მაღალ საერო წოდებაზე მიანიშნებს. ასეთია მაგ. ბაღუაშების, რატისა და ლიპარიტის გამოსახულებები და მათი ჩაცმულობის სტილი შეპიაკის X საუკუნის რელიეფზე (ხუნდაძე, 2011: 108; 116, სურ. 10).

ჩაცმულობის სტილის, პარალელის თვალსაზრისით ასევე უაღრესად საინტერესოა, დმანისის სამაროვნის ქრისტიანულ უბანზე აღმოჩენილი XIII საუკუნით დათარიღებული სტელისებრი საფლავის ქვა (სამუზ. №280). მასზე გამოსახული ჯვრის ზედა და მარჯვენა მკლავს შორის, ადამიანის სრული რელიეფური გამოსახულებაა მოცემული. იგი თითქოსდა ჯვრის მარჯვენა მკლავზე ფეხებითაა შემომდგარი. ადამიანის ფიგურა შემოსილია გრძელი, გაშლილი და კიდეებ აპრეხილი კაბით. ფიგურას თავზე, აქაც, მაღალი პრიზმული ფორმის წვეტიანი, წოწოლა ქუდი ახურავს. საფლავის ქვაზე გამოსახულ ადამიანს ხელში მოგრძო ჯოხისებრი, ბოლოსკენ ბურთულით დაბოლოებული ნივთი უჭირავს რომელზეც მარჯვენა ხელის მტევანი უდევს, რომელიც, თითქოსდა სიმებიან საკრავ ინსრუმენტზე დაკვრის სიუჟეტს გადმოგვცემს (ჩხვიმიანი, 2020: 228-229). თუმცა, არ არის გამორიცხული, საფლავის ქვაზე გამოსახულ ადამინის ფიგურას ხელში, მისი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, რაიმე სახის ირეარქიული ინსიგნი ეკავოს.

მოყვანილი პარალელური მასალების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას რომ, სამკუთხედის ფორმის წვეტიანი, წოწოლა ქუდები გავრცელებული ჩანს დმანისელი, მუსლიმი და

ქრისტიანი მოსახლეობის, სავარაუდოდ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პიროვნებების ჩაცმულობაში.

რაც შეეხება, ჩვენს მიერ ზემოწარმოდგენილი საფლავის ქვების ფორმებს - სარკოფაგისებრი, ჰორიზონტული, ორფერდა სახურავისებრი ზედაპირით, თავთან ოთწახნაგოვანი პრიზმულ-კუბური შვერილით, ასევე ორფედა ზედაპირით, დმანისის სამაროვანზე მსგავსი ტიპის თარიღიანი საფლავის ქვები XIII საუკნის II ნახევრიდან ჩნდება. ისინი სტელისებრ საფლავის ქვებთან ერთად თანარსებობენ XIV საუკუნის 70-იანი წლების ჩათვლით. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ მათგან უადრესია, გარდაცვლილის, შამს ედ-დინ აჰმად იბნ ტულუს სახელზე დამზადებული და ჰიჯრის 657 წლით (1258-1259 წწ) დათარიღებული საფლავის ქვა (კახიანი, 1965: 22-23; ტაბ. II, სურ. 4). ჩვენი დაკვირვებით მსგავსი ტიპის საფლავის ქვების გაჩენა დმანისის სამარავონზე, აღნიშნულ პერიოდში, იმჟამად, ილხანების მონღოლური სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ საქართველოში, ილხანური კულტურის ელემენტების არსებობით უნდა აიხსნას, განსაკუთრებით დმანისელი მუსლიმი მოსახლეობის ყოფაში, მათ შორის მემორიალურ კულტურაში.

საყურადრებოა, რომ მსგავსი ფორმების საფლავის ქვები, ქრისტიანული სიმბოლიკით გავრცელებული ჩანს XIII საუკუნის ჩინეთის ნესტორიანული თემის მემორიალურ კულტურაში (China National Silk Museum), რომელიც, სავარაუდოდ მონღოლების დასავლეთით ექსპანსიის შედეგად, ირანის ტერიტორიაზე, მონღოლების ილხანური სახელმწიფოს ისალმურ მემორიალურ კულტურაშიც აისახა.

დასკვნა: IX საუკუნეში წარმოქმნილი ქალაქი დმანისი, XII-XIII საუკუნეებში ყალიბდება, როგორც აღმოსავლურ-ქართული მრავალეთნიკური ქალაქი. ჩვენ შემთხვევაში, მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სურათის ცვლილებები თვალნათლადაა ასახული ქალაქის სამაროვანზე ისლამურ-არაბული და სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლების გაჩენით და, ასევე, უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე ქართული ეკლესიების გვერდით სომხური მცირე ეკლესიის, მეჩეთებისა და მუსლიმური სასწავლებლის, მედრესეს აგებით.

დმანისიდან მომდინარე სხვადასხვა არქეოლოგიური მონაცემების ანალიზისა და ისტორიული რეალიების, არსებული წყაროების გათვალისწინებით, ქალაქ დმანისის ეთნიკური სურათის მკვეთრი ცვლილება და სავარაუდოდ არაბული, მუსლიმი მოსახლეობის გაჩენა, უკავშირდება არა ციხე-ქალაქის მუსლიმ დამპყრობელთა მიერ ფლობას, არამედ სხვა გარემოებებს. დავით აღმაშენებლისა და შემდგომი ქართველი მეფეების სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ქალაქის აყვავების, ეკონომიკური დაწინაურების პერიოდს, როდესაც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მშვიდობიანი საქალაქო ცხოვრებისათვის, ხელოსნური წარმოების, ვაჭრობის გასავითარებლად. დაწინაურების ეს მონაკვეთი დმანისისათვის XII–XIV საუკუნეებზე მოდის - სწორედ რომ ქალაქობის II ეტაპზე, როდესაც დმანისი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ძლიერი ეკონომიკური სისტემის ნაწილი გახდა. ამ პერიოდშივე შეიმჩნევა დმანისის გადაქცევა მრავალეთნიკურ-რელიგიურ აღმოსავლურ-ქართულ ფეოდალურ ქალაქად. არქეოლოგიური კვლევებიდან ჩანს, რომ მუსლიმური მოსახლეობა შუა საუკუნეების დმანისში XII საუკუნიდან, განსაკუთრებით XIII-XIV საუკუნეებში მატულობს. შესაბამისად, XIII-XIV საუკუნეებში დმანისის სამაროვანზე ჩნდება არაბულწარწერიანი მემორიალური ძეგლები, ხოლო ქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობები.

დმანისის არაბული ეპიგრაფიკული კორპუსის ქრონოლოგიური ჩარჩოები არსებული კვლევების მიხედვით, ყველაზე ადრეული თარიღიანი ეპიგრაფიკული ნიმუში ჰიჯრის 601 წლითაა (1204-1205 წწ) წარმოდგენილი (კახიანი, 1965: 20), ხოლო ყველაზე გვიანდელი ჰიჯრით 777 წლითაა (1375-1376 წწ) დათარიღებული (კახიანი, 1974: 146).

სტატიაში წარმოდგენილი დმანისის სამაროვნის №4 წრიული მავზოლეუმის საფლავის ქვები, რომლებიც, სავარაუდოდ დმანისის ერთ-ერთი წარჩინებული ოჯახის წევრებს ეკუთვნოდათ, ქრონოლოგიურად XIV საუკუნის II ნახევარში, 1350-იან, 1360-იან წლებში ექცევა. დმანისის ისტორიისთვის, ეს არის ქალაქობის უკანასკნელი პერიოდი – XIV საუკუნის 80-იან წლებში დმანისი თემურ ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად ინგრევა, ხოლო ქალაქის, მათ შორის დმანისის მუსლიმი მოსახლეობა, ფიზიკურად ნადგურდება.

სტატიაში წარმოდგენილი კვლევის შედეგად, №4 წრიული მავზოლეუმის საფლავის ქვები, რომელთაც გააჩნდათ თარიღები, ერთ, №4 სამარხის შემთხვევაში, ჰიჯრით 760 (1358-1359 წწ), ხოლო მეორე, №9 სამარხის ქვის შემთხვევაში 761 (1360-1361 წწ) წლებით განისაზღვრა. №3 სამარხის საფლავის ქვაზე ათეულის აღმნიშვნელი გრაფემა გადაშლილია, თუმცა აქ მოცემული ჰიჯრის აღმნიშვნელი თარიღი უნდა იყოს 767 ან 777 წელი (1365 ან 1375 წელი).

№4 მავზოლეუმში დაკრძალულ, სავარაუდოდ ერთი ოჯახის წევრების განსაკუთრებულად მაღალ სოციალურ მდგომარეობასა და სიმდიდრეზე უნდა მეტყველებს მათი მდიდრულად მოწყობილი მემორიალური ძეგლები – არაჩვეულებრივი ორნამენტებითა და არაბული ეპიტაფიებით შემკული საფლავის ქვები. საფლავის ქვებზე დაფიქსირებული ცოცხალი საქარავნო ტრანსპორტის – აქლემის, სახედრის გამოსახვა, სიმბოლურად აქ დაკრძალულ სავარაუდოდ დიდვაჭართა შორეულ სავაჭრო მოგზაურობებში მონაწილეობაზე უნდა მიუთითებდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძენიშვილი დ. (1964). დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,* ტ. XXXIII, 2, (თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“), 745-752.

გოჩიაშვილი მ. (1986). შუასაუკუნეების დმანისის ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვანი, *ძეგლის მეგობარი №3* (თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“), 49-53.

კახიანი ც. (1960). დმანისის XIII-XIV საუკუნეების ზოგიერთი არაბული წარწერის შესახებ. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია,* ტ. III (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა), 93-110.

კახიანი ც. (1962)ა. დმანისის უთარიღო არაბული წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე,* №3, (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962), 203-216.

კახიანი ც. (1962)ბ. დმანისის XIII-XIV საუკუნეების რამდენიმე არაბული წარწერა. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,* ტ. XXIX, №3 (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა), 497-504.

კახიანი ც. (1965). *დმანისის არაბული წარწერები,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

კახიანი ც. (1974). ორი არაბულენოვანი საფლავის ქვის წარწერის შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია,* №2 (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა), 141-146.

მატიანე ქართლისა (1955), *ქართლის ცხოვრება.* ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.

მელიქსეთ-ბეგი ლ. (1954). დმანისის სომხური წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია*, წ. I (თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“). 153-161.

მუსხელიშვილი ლ. (1938). დმანისი: ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა* (თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“). 319-448.

რეზესიძე ნ. (2011). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი დმანისის ნაქალაქარიდან, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე,* ტ. II, (თბილისი: ფავორიტი პრინტი). 36-52.

ქუთათელაძე ქ. (2001). *ქვემო ქართლი: პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია).* თბილისი: გამომცემლობა „მთაწმინდელი“.

ჩხვიმიანი ჯ. (2011). მეჩეთი დმანისის ნაქალაქარზე. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე.* ტ. II (47-B), (თბილისი). 214-246.

ჩხვიმიანი ჯ. (2020). შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის საკითხები (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), სადოქტორო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი / ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი. https://eprints.iliauni.edu.ge/10266/1/%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A0%20%E1%83%A9%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98.pdf

ჯაფარიძე ვ., ართილაყვა ვ. (1971). გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში: 1968 წლის წინასწარი შედეგები. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები.* ტ. II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“). 63-74.

ჯაფარიძე ვ. (1972). დმანისის ნაქალაქარის გათხრები 1971 წელს. *არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, (თბილისი: მეცნიერება), 52-55.

ჯაფარიძე ვ. (1998). დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი შუა საუკუნეებში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). *დმანისი,* ტ. I (თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“). 19-37.

ჯაფარიძე ვ. (1984). ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე. *ძეგლის მეგობარი №68* (თბილისი: საბჭოთა საქართველო), 18-27.

ხუნდაძე თ. (2011). შუა საუკუნეების (VI—XI სს) ქართული საქტიტორო რელიეფის იკონოგრაფიული ვარიაციები, *ACADEMIA II.* 102-117.

Джапаридзе В. (1980). Отчет работы Дманисской археологической экспедиции, *Полевые археологические исследованиа в 1977 году* / Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. И.А. Джавахишвили. (Тбилиси: „Мецниереба“). 262-275.

Крачковская В.А. (1951). Надгробние надписи из Дманиси, *Эпиграфика Востока,* т, V (Москва-Ленинград:), 21-32.

Kuehn S, (2011). *The dragon in medieval East Christian and Islamic art* (Islamic History and Civilization. Volume: 86). Leiden-Boston: Brill.

China National Silk Museum: https://www.chinasilkmuseum.com/yz/info_98.aspx?itemid=27887

REFERENCES

berdzenishvili d. (1964). dmaneli amiras utsnobi ts'arts'era pinezauris kheobidan [An unknown inscription of Amira of Dmanisi from the Finesauri valley]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis moambe [Bulletin of the Academy of Sciences of the USSR of Georgia]*, vol. XXXIII, 2. Tbilisi: Publishing House „Metsniereba”. 745-752.

gochiashvili m. (1986). shuasauk'uneebis dmanisis nakalakaris gareubnis samarovani [Cemetery of the medieval suburb of Dmanisi site]. *dzeglis megobari [A friend of the monument]* No. 3. Tbilisi: Publishing House "Soviet Georgia". 49-53.

k'akhiani ts. (1960). dmanisis XIII-XIV sauk'uneebis zogierti arabuli ts'arts'eris shesakheb [About XIII-XIV centuries some Arabic inscriptions from Dmanisi]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis enatmetsnierebata inst'it'ut'is shromebi, aghmosavlur enata seria [Proceedings of the Institute of Linguistics of the Academy of Sciences of the USSR, Oriental Languages Series].* Vol. III. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the USSR. 93-110.

k'akhiani ts. (1962)a. dmanisis utarigho arabuli ts'arts'erebi [Arabic inscriptions without date from Dmanisi]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis sazogadoebriv metsnierebata ganqopilebis moambe [Bulletin of the Department of Social Sciences of the Georgian SSR Academy of Sciences]*No. 3. Tbilisi: Publishing House of the Georgian SSR Academy of Sciences, 1962. 203-216.

k'akhiani ts. (1962)b. dmanisis XIII-XIV sauk'uneebis ramdenime arabuli ts'arts'era [Several Arabic inscriptions of the XIII-XIV centuries from Dmanisi]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis moambe [Bulletin of the Academy of Sciences of the USSR of Georgia].* vol. XXIX, No. 3. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the USSR of Georgia. 497-504.

k'akhiani ts. (1965). *dmanisis arabuli ts'arts'erebi [Arabic inscriptions of Dmanisi].* Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

k'akhiani ts. (1974). ori arabulenovani saplavis kvis ts'arts'eris shesakheb [About two Arabic-language tombstone inscriptions]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis matsne, enisa da lit'erat'uris seria [Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR, Language and Literature Series].* No. 2. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR. 141-146.

mat'iane kartlisa (1955). *kartlis tskhovreba [History of Kartli].*Volume I. The text was established according to all the major manuscripts of by S. Kaukhchishvili. Tbilisi: publishing house"Sakhelgami".

melikset-begi l. (1954). dmanisis somkhuri ts'arts'erebi [Armenian Inscriptions of Dmanisi]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis enatmetsnierebis inst'it'ut'is shromebi, aghmosavlur enata seria [Proceedings of the Institute of Linguistics of the Academy of Sciences of the USSR, Oriental Languages Series].* Vol. I. Tbilisi: "Publishing House of the Academy of Sciences of the USSR of Georgia". 153-161.

muskhelishvili l. (1938). dmanisi: kalakis ist'oria da nakalakaris aghts'era [Dmanisi: History of the Town and Description of the Site]. *shota rust'avelis ep'okis mat'erialuri k'ult'ura [Material Culture of Shota Rustaveli's Era].* Tbilisi: Publishing House "Technique and Labor". 319-448.

rezesidze n. (2011). gvianbrinjao-adrerk'inis tkhanis namosakhlari dmanisis nakalakaridan [Late Bronze - Early Iron Age settlement from Dmanisi Site]. *sakartvelos erovnuli muzeumis moambe [Bulletin of the National Museum of Georgia].* vol. II. Tbilisi: "Favorite Print". 36-52.

kutateladze k. (2001). *kvemo kartli: p'olit'ik'uri ist'oriis sak'itkhebi (t'ashir-dzoraget'is samepo; orbelta gvaris ist'oria) [Kvemo Kartli: issues of political history (Tashir-Dzorageti kingdom; history of Orbel family)].* Tbilisi: publishing house "Mtatsmindeli".

chkhvimiani j. (2011). mecheti dmanisis nakalakarze [Mosque from Dmanisi medieval site]. *sakartvelos erovnuli muzeumis moambe [Bulletin of the National Museum of Georgia].* vol. II. Tbilisi: "Favorite Print". 214-246.

chkhvimiani j. (2020). shua sauk'uneebis kalak dmanisis mosakhleobis sotsialuri, etnik'uri da k'onpesiuri st'rukt'uris sak'itkhebi (ist'oriul-arkeologiuri gamok'vleva) [Issues of the social, ethnic and confessional structure of the population of the medieval city of Dmanisi (Historical-archaeological research)]. PhD Thesis, Ilia State University / School of Arts and Sciences. https://eprints.iliauni.edu.ge/10266/1/%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A0%20%E1%83%A9%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98.pdf

japaridze v., artilaqva v. (1971). gatkhrebi dmanissa da mis shemogarenshi: 1968 ts'lis ts'inasts'ari shedegebi [Excavations at Dmanisi and its environs: preliminary results of 1968]. *sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis arkeologiuri eksp'editsebi [Archaeological expeditions of the State Museum of Georgia].* vol. II. Tbilisi: Publishing House "Metsnireba". 63-74.

japaridze v. (1972). dmanisis nakalakaris gatkhrebi 1971 ts'els [Excavations of the Dmanisi Site in 1971]. *arkeologiuri k'vleva-dzieba sakartveloshi 1971 ts'els. sakartvelos ssr metsnierebata ak'ademia, iv. javakhishvilis sakhelobis ist'oriis, arkeologiisa da etnograpiis inst'it'ut'I [Archaeological investigations in Georgia in 1971, Academy of Sciences of the USSR of Georgia, Iv. Javakhishvili Institute of History, Archeology and Ethnography].* Tbilisi: Publishing House "Science". 52-55.

japaridze v. (1984). erti mahmadianuri mavzoleumi nakalakar dmanisis gareubnis samarovanze [One Muslim mausoleum on the cemetery of the suburb of Dmanisi medieval site]. *dzeglis megobari [Friend of the Monument]* No. 68. Tbilisi: Publishing House "Soviet Georgia". 18-27.

japaridze v. (1998). dmanisis savach'ro-ek'onomik'uri urtiertobani shua sauk'uneebshi (arkeologiuri monatsemebis mikhedvit) [Trade and economic relations of Dmanisi in the Middle Ages (according to archaeological data)]. *Dmanisi,* vol. I. Tbilisi: Publishing House "Science". 19-37.

khundadze t. (2011). shau sauk'uneebis (VI—XI ss) kartuli sakt'it'oro reliepis ik'onograpiuli variatsiebi [Conographic variations of the Georgian Saktitor relief of the Middle Ages (VI-XI centuries)], *ACADEMIA* vol. II. 102-117.

Djaparidze V. (1980). Otchot raboti Dmanisskoi arkheologicheski ekspeditsii, polevie arkheologicheskie isledovania v 1977 gadu [Report of the work of the Dmanisi archaeological expedition]. *Field archaeological research in 1977 / Academy of Sciences of the Georgian SSR, Center for Archaeological Research of the Institute of History, Archeology and Ethnography of Iv. Javakhishvili].* Tbilisi: Publishing House "Metsniereba". 262-275.

Krachovskaia V.A. (1951). Nadgrobnie nadpisi iz Dmanisi [Tombstone inscriptions from Dmanisi]. *Epigraphika Vastoka [Epigraphy of the East].* vol. V (Moscow-Leningrad:), 21-32.

Kuehn S, (2011). *The dragon in medieval East Christian and Islamic art* (Islamic History and Civilization. Volume: 86). Leiden-Boston: Brill.

China National Silk Museum: https://www.chinasilkmuseum.com/yz/info_98.aspx?itemid=27887